დაბ 12,1-4ა; ფს 32; 2ტიმ 1,8ბ-10; მთ 17,1-9

დიდი ძალი ტყუილა ქათ მთ 17,6

იესო, მთაზე ლოცვისას, უცებ გაბრწყინდა ნათლით და "მისი სამოსელი გახდა თოვლივით თეთრი". ნახეს ღმერთი და შიშმა შეიპყრო ისინი. იესო შეეხო და დაამშვიდა: "ნუ გეშინიათ"! ჭეშმარიტი ღმერთი იესოში ვლინდება და არის თავად იესო. იგია სიყვარული, რომელიც აცოცხლებს, სიხარულია, უსაფრთხოება!

2 მარტი

ორშაბათი
2026

დიდმარხვის II კვირა [II] ი

დან 9,4ბ-10; ფს 78; ლკ 6,36-38

შეცოდეთ შენს ჩინაძე დან 9,8

დანიელი ლოცულობს მოწიწებით და სინანულით, აღიარებს, რომ ხალხის ჩაგვრა და ტყვეობა ღვთისადმი ურჩობის შედეგია. ცოდვა არის მისი ადგილის დაკავება, საკუთარი სურვილების მიჩნევა უფრო მნიშვნელოვნად და უფრო ბრძნულად, ვიდრე მისი. სად აღმოჩნდება ქმნილება, რომელიც უარყოფს თავისი შემოქმედის სიყვარულს? მოწყალე მამავ, შეგცოდე შენ: მიმიღე შენი სახიერებით!

ეს 1,10,16-20; ფს 49; მთ 23,1-12

დედის დღე

ვინც თქვს ტიტლებს, აძაღლებ მთ 23,12

ღონისძიების ორგანიზატორმა სხვა აირჩია იმ საქმეზე, რომელსაც მე სიამოვნებით გავაკეთებდი... ვეცადე ჩემს ადგილას დავრჩენილიყავი, თავმდაბლად. დიდი ხანი არ გასულა, რომ დამიძახეს კიდევ უფრო მშვენიერ საქმეზე.

4 მარტი

ოთხშაბათი
2026

დიდმარხვის II კვირა [II] ი

წმ. კაზიმირი, ლიეტუვის თავადი, +1484 გროდნოში

იერ 18,18-20; ფს 30; მთ 20,17-28

თქვენს შორის ასე ნუ იქნება მთ 20,26

რაოდენი მოთმინება გქონდა, იესო, შენი მოწაფეებისადმი! შენ ადიხარ იერუსალიმში, რომ შესწირო თავი, ჯვარს გაცვან, ხოლო ისინი, პირიქით, ფიქრობდნენ პირველობაზე, დიდობაზე. "თქვენს შორის ნუ იქნება ასე", მიმეორებ დღეს, იესო. გმადლობ, რომ მეხმარები, ვიცხოვრო წუთისოფლისგან განსხვავებულად, მეტი ყურადღება დავუთმო მსახურებას და არა მბრძანებლობას.

5 მარტი

ხუთშაბათი
2026

დიდმარხვის II კვირა [II] ი

იერ 17,5-10; ფს 1; ლკ 16,19-31

ქე, უფალი, ჩვენს გულსა ზე ვსინჯავ გონებას *იერ 17,10*

რას ეძებ, უფალო, ჩვენს გულში? მპასუხობ
წმიდა წერილით: "კურთხეულია ადამიანი,
რომელიც ენდობა უფალს"; "ვის მივაპყრო
მზერა? თავმდაბალსა და გულშემუსვრილს";
"მოხედა თავისი მხევლის სიმცირეს"; "ღმე-
რთს უყვარს, ვინც სიხარულით გასცემს"!

6 მარტი

პარასკევი
2026

დიდმარხვის II კვირა [II] ი

(22.II) წმმ. ცხრანი ყრმანი კოლაელნი, VIს, წამებულნი

დაბ 37,3-4,12-13,17-28; ფს 104; მთ 21,33-43,45-46

ესინასწარმეტყველნ ეიახლოთ იგი მთ 21,46

იესო ლაპარაკობდა მამაზე, აუწყებდა მის სიყვარულს და იძლეოდა მის ხელშესახებ ნიშნებს, რომლებიც ზოგჯერ აღემატებოდა ბუნების კანონებს: მართლაც, იყო წინასწარმეტყველი! შენც, როცა ლაპარაკობ მამაზე, თუნდაც სიტყვების გარეშე, ხორცხ ასხამ სიყვარულს მის ყველაზე მეტად შეჭირვებულ შვილებისადმი, ხარ წინასწარმეტყველი, რომელიც მას აცნობს.

7 მარტი

შაბათი
2026

დიდმარხვის II კვირა [II] ი

წმ. პერპეტუა და ფელიციტა, წამებულნი
+203 კართაგენში

მიქ 7,14-15.18-20; ფს 102; ლკ 15,1-3.11-32

ბოროტი იყო ბ გამოხნ ლკ 15,32

იესო გვეხმარება მივიღოთ მისი სიყვარულის მაგალითი ცოდვილებისადმი და გავიხაროთ მასთან ერთად ყველა ადამიანის გამო, ვინც აღიარებს საკუთარ ცოდვას და ბრუნდება მასთან დასარჩენად, როგორც უძღები ძე. გმადლობთ, იესო, ამ იგავისთვის, რომელიც ესოდენ სავსეა ძალით, სინათლითა და მოწყალებით!

დიდმარხვის III კვირადღე, «ა», [III], ი

[წმ. იოანე ღმრთისა, ჰოსპიტალიერ ძმათა დამაარსებელი, +1550 გრენადაში]

გამ 17,3-7; ფს 94; რომ 5,1-2.5-8; იო 4,5-42

წამებულ მისიონერთა ხსოვნისათვის ლოცვისა და მარხვის დღე.

ქალთა საერთაშორისო დღე.

ეს ჭეშმარიტად სოფლის მაცხოვარია იო 4,42

ეს არის დასკვნა, უფრო სწორად, რწმენის აღსარება, რომელსაც სამარიელები აღწევენ იესოს მოსმენის შემდეგ. მასთან მოვიდ-ნენ იმიტომ, რომ აბუჩად არ აიგდეს ერთი თანასოფლელი ქალის მოწმობა, თუნდაც "ცუდი გზის ქალისა". მაგრამ სწორედ მისი მეშვეობით მიაღწევენ იმას, რომ განიცადონ ვინ არის იესო და დაამოწმონ, რომ თავისი სიყვარულით იგი იხსნის წუთისოფელს.

9 მარტი

ორშაბათი
2026

დიდმარხვის III კვირა [III] ი

წმ. ფრანცისკა რომაელი, ოჯახის დედა, შემდგომ მონაზონი, +1440 რომში

4მეფ 5,1-15; ფს 41-42; ლკ 4,24-30



გუშინ ვნახეთ, რომ სამარიელებმა, რომლებიც მწვალებლებად მიიჩნეოდნენ, იესოში ამოიცნეს სოფლის მაცხოვარი. დღეს წარმართი, თანაც მტრული ქვეყნიდან, მივა იქამდე, რომ აღიაროს, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთია ის, რომელიც ისრაელის ერს სწამს. ნაამანმა თავის ტყავზე განიცადა ეს. გმადლობთ, იესო: შენთან გვაქვს ჩვენი მამის სიახლოვის ნიშნები.

10 მარტი

სამშაბათი
2026

დიდმარხვის III კვირა [III] ი

დან 3,25.34-43; ფს 24; მთ 18,21-35

ბატონმა მოიბრალა ამ მიუტევა მას ვალი მთ 18,27

იესო გვიჩვენებს თუ რა თანალმობი გული აქვს მამა ღმერთს ჩვენ, ცოდვილებზე. შემდეგ მიგვითითებს, რომ მივბაძოთ მის სიყვარულს ჩვენი მოყვასის მიმართ. იგია იგავის ბატონი, რომელიც ჩუქნის მთელ ვალს. იგია, რომელ-საც გვინდა მივბაძოთ, სიხარულით გავცეთ, მისი სახელით, შენდობა, ყოველ ჯერზე, როცა კი გვთხოვენ!

11 ოთხშაბათი 2026

მარტი

დიდმარხვის III კვირა [III] ი

რჯლ 4,1,5-9; ფს 147; მთ 5,17-19

ასეთი ისინი ეროვნებანი, ანუ ეროვნებანი, ანუ ეროვნებანი, ანუ

12 მარტი

ხუთშაბათი
2026

დიდმარხვის III კვირა [III] ი

იერ 7,23-28; ფს 94; ლკ 11,14-23

ვინც ჩემთან არ აგროვებს, ფანტავს ლკ 11,23

დავრჩებით იესოსთან, ყოველთვის: ვიფიქრებთ მასზე დილიდანვე გაღვიძებისას, ვესაუბრებით მას, შევინახავთ მის სიტყვებს როგორც ძვირფას საგანძურს დღის ცდუნებების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამგვარად მოგვანიჭებს ერთგულებას მის ეკლესიაში და მოვისთვლით მისი სიყვარულის ნაყოფს, განსაკუთრებით კი მის სიხარულს.

13 პარასკევი 2026

მარტი

დიდმარხვის III კვირა [III] ი

ოს 14,2-10; ფს 80; მარ 12,28ბ-34

პირველი არის: "ისმინე, ისრაელ!" მარ 12,29

ეს არის პირველი ნაბიჯი, აუცილებელი, სიცოცხლის გზაზე სასიარულად, რომელიც უფალმა გაავლო თავისი "ათი მცნებით". "ისმინე", ანუ გახსოვდეს, რომ იგი არის "ის, ვინც არსებობს", რომ შენთან არის ყოველ-თვის, რომ უყვარხარ და შეგიძლია დაუშვა, რომ გაგიძღვეს, დაანებო, რომ იმეფოს შენს გრძნობებსა და ფიქრებზე. გახდები მისი სიყვარულის ნიშანი და ყველასთვის მოყვასი იქნები.

14 მარტი

შაბათი
2026

დიდმარხვის III კვირა [III] ი

ოს 6,1-6; ფს 50; ლკ 18,9-14

ღმერთო, შემიწყალე მე ცოდვილი ლკ 18,13

ეს ლოცვა სათნოა ღვთისათვის: ის ცოდ-
ვილი განახლდა, დაუბრუნდა მას ერთობა
მამასთან და ძმებთან, რომლისთვისაც იგი
ჩაიფიქრეს და შექმნეს. დღეს მეც გავიმე-
ორებ ამ ლოცვას და იესოს მივმართავ იმ
მარტივი ფორმულით, რომელსაც მონაზვნები
იყენებენ: "უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთი-
საო, შემიწყალე მე ცოდვილი". გავიმეო-
რებ მას უამრავჯერ, ჩემი ყოველი ჩასუნ-
თქვა-ამოსუნთვისას.

1მეფ 16,1ბ.6-7.10-13ა; ფს 22; ეფეს 5,8-14; იო 9,1-41

"ძეს ქმ, უფალო!" იო 9,38

ბრმად დაბადებულმა მათხოვარმა დაინახა ღვთის ძალა, რომელიც იესოში მოქმედებდა. და როცა იესომ ჰკითხა, სწამდა თუ არა კაცის ძე, რომელმაც განკურნა იგი, უპასუხა დარწმუნებით: "მრწამს, უფალო!". მეც, მას შემდეგ რაც იესოს სახელის ძალით შინაგანად განვიკურნე ცოდვისგან, დავიწყე მისი მსახურება და აღარ ვმათხოვრობ სიყვარულს ადამიანთაგან.

16 მარტი

ორშაბათი
2026

დიდმარხვის IV კვირა [IV] ი

(3.III) წმ. იოანე IV (V) ოქროპირ კათალიკოსი, +1048

ეს 65,17-21; ფს 29; იო 4,43-54

ეჰაძა ძან ჯ ქთელძა ქისძა ოჟეჯსქა იო 4,53

იესოს ებრალება ეს მეფის მოხელე, რომელიც თავდაბლად ევედრება, განკურნოს მისი შვილი, რომელიც სიკვდილის პირას დგას. იესო, როცა ხედავს მის რწმენას, ეუბნება: "წადი, შენი შვილი ცოცხალია". "ირწმუნა მან და მთელმა მისმა ოჯახმა" — ახლა ამ ოჯახს ახალი ცენტრი აქვს, ახალი სიყვარული, რომელიც აერთიანებს მის წევრებს. იცხოვრებენ იესოს სიყვარულით.

17 სამშაბათი 2026

მარტი

დიდმარხვის IV კვირა [IV] ი

წმ. პატრიციუსი, ეპისკოპოსი, ირლანდიის მოციქული, +461

ეზეკ 47,1-9.12; ფს 45; იო 5,1-16

ის კაცი ეძებენ განკურნა იო 5,9

იესომ უთხრა მას განკურნებულიყო, და ეს დავრდომილიც დაემორჩილა! ეს არის ის, რასაც ვცდილობთ ჩვენ, ქრისტიანების სახელის მატარებლები. იესო გვეუბნება: "მიუტევე!" — და ჩვენ ვპატიობთ, თუნდაც ინსტინქტურად არც გვინდოდეს; "მიენდე მამას!" — და ვუმკლავდებით ვალდებულებებს, თუნდაც შიში მოგვადგეს კარს; "აღდექი!" — და ვდგებით სიზარმაციდან, რომ ვემსახუროთ ძმებს.

18 ოთხშაბათი 2026

მარტი

დიდმარხვის IV კვირა [IV] ი

წმ. კირილე, იერუსალემის ეპისკოპოსი, ეკლესიის მოძღვარი, +386

ეს 49,8-15; ფს 144; იო 5,17-30

ეს 49,15

უფალი, თავისი წინასწარმეტყველის მეშვეობით, ცდილობს დაარწმუნოს ერი თავის სიყვარულში: თუნდაც ხალხი ღარიბი და ცოდვილია, მას აძლევს საძოვარს, უსწორებს და უნათებს გზას, ამოიყვანს მისი გასაჭირიდან. გაიგებენ კი? და მე? იგი გვარწმუნებს: მისი სიყვარული აღემატება დედის სიყვარულს, არასდროს ვავიწყდებით!

19 მარტი

ხუთშაბათი
2026

წმ. იოსები, ნ. ქ. მარიამის მეუღლე დდ, [ს], თ

2მეფ 7,4-5ა.12-14ა.16; ფს 88; რომ 4,13.16-18.22;
მთ 1,16.18-21,24ა ან ლკ 2,41-51ა

არლის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

იოსებმა დაუჯერ, როგორც უბრძანა ანგელოზმა მთ 1,24

იოსებს, იესოს დედის, მარიამის მეუღლეს, მართალ კაცს, გაუნათდა ძილში, როცა ფიქრობდა საიდუმლოდ გაეშვა ორსული საცოლე. ანგელოზმა გამოუცხადა, რომ ახალი სიცოცხლე, რომელიც მასში იყო დამალული, სულიწმინდის საქმეა: შეუძლია დაიტოვოს. მორჩილდება დაუყოვნებლივ და ასე ხორციელდება ღვთის ნება მასზე. იგი დღეს გვეხმარება, ვუსმინოთ ღმერთს, როცა სერიოზული და რთული პრობლემები გვაქვს გადასაჭრელი.

20 მარტი

პარასკევი
2026

დიდმარხვის IV კვირა [IV] ი

სიბრძ 2,1ა.12-22; ფს 33; იო 7,1-2.10.25-30

მისგან მოვალ იო 7,29

იესო ისმენს, რასაც ხალხი ამბობს მასზე
დღესასწაულზე: რომ მის შესახებ ცნობილია,
რომ ნაზარეთიდან მოდის, ხოლო მესიის
წარმომავლობა არავის უნდა სცოდნოდა! იგი
შეუსწორებს მათ განცხადებას და ამხელს,
რომ ღმერთისგან მოდის: მან მოავლინა. იუ-
დეველები ვერ იგებენ და ხელმძღვანელები
შეპყრობას უპირებენ მას. ის რომ მამისგან
მოდის, ნახავენ შემდეგ ჯვარზე, სადაც იგი
ხორცს ასხამს მის სრულყოფილ სიყვარულს.

21 მარტი

შაბათი
2026

დიდმარხვის IV კვირა [IV] ი

იერ 11,18-20; ფს 7; იო 7,40-53

შენ მოგანდე ჩემი სქმე იერ 11,20

წინასწარმეტყველი იერემია ამჩნევს, რომ ზოგიერთი მთავართაგანი გეგმავს მის მოკვლას: აღარ სურთ ისმინონ მისი წინასწარმეტყველება უფლის სახელით. მაშინ იგი ევედრება ღმერთს დიდი ნდობითა და დარწმუნებით, ენდობა მას, "სამართლიან მსაჯულს, რომელიც იკვლევს გულსა და გონებას": ესაა წინასწარმეტყველება იმისა, რაც იესოს შეემთხვა, რომელიც შესმენილ იქნა, როცა აღდგა.

22 მარტი

კვირა
2026

დიდმარხვის V კვირადღე, «ა», [I], ი

ეზეკ 37,12-14; ფს 129; რომ 8,8-11; იო 11,1-45

მაძალო, გაღვლობ, რომ მოძისძინე იო 11,41

იესო, დგახარ საფლავის წინ, სადაც ოთხი
დღის განმავლობაში იწვა შენი მეგობარი
ლაზარე. ჯერ არ დაგიძახია მისთვის გარეთ,
მაგრამ უკვე მადლობ მამას, რომ გისმენს.
მეც შენგან ვისწავლე მამისათვის მადლობის
თქმა უფრო ადრე, ვიდრე იგი იმოქმედებს:
იგი არის სიცოცხლის ღმერთი და შეუძლია
მიანიჭოს იგი, ყოველთვის!

23 ორშაბათი 2026

მარტი

დიდმარხვის V კვირა [I] ი

(10.III) წმ. ღირსი იოანე ხახულელი, მონაზონი, X-XIს;
წმ. ტურიბიუს მონგროვეხოელი, ლიმის ეპისკოპოსი, +1606

დან 13,1-9.15-17.19-30.33-62; ფს 22; იო 8,1-11

იო 8,8

წერდა: ასე იპყრობდა ყურადღებას და აფიქრებდა. შემდეგ წაიკითხა რაც დაწერა: "ვინც ცოდვის გარეშეა...". ჩვენ გვესმის: მხოლოდ მას, ვინც ცოდვის გარეშეა, შეუძ-ლია განსაჯოს და დასაჯოს. მაგრამ ვინ არის ცოდვის გარეშე?

24 მარტი

სამშაბათი
2026

რიცხ 21,4-9; ფს 101; იო 8,21-30

თქვენ ბნელიდან ხართ, მე კი ზეციდან ვარ იო 8,23

გმადლობთ, იესო, რომ მაღლიდან, მამისგან, მოხვედი, რომ მეც, ცოდვილი, წამიყვანო ზემოთ, მასთან კავშირში. დაუშვი ჯვარზე ამაღლება, რომ განგეკურნე უნდობლობისგან, სიამაყისა და თავკერძობის შხამისგან. აღვაპყრობ თვალებს, როგორც "კეთილი ავაზაკი", შენკენ, იესო, რომ მიმიღო შენს სასუფეველში.

25 ოთხშაბათი 2026

მარტი

უფლის ხარება, დდ, [ს],თ

(12.III) წმ. მეფე დემეტრე თავდადებული, წამებული +1289

ეს 7,10-14; 8,10გ; ფს 39; ებრ 10,4-10; ლკ 1,26-38

ქიათურის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

მეყავნ მე სიტყვისმებრ შენისა ლკ 1,38

ეს არის უფლის ხარების დიდი დღესასწაული; მას შეიძლება ეწოდოს მარიამის 'ჰოს' დღესასწაული: "მეყავნ მე სიტყვისამებრ შენისა". და სიტყვა ხორცად იქცა. მინდა ვისწავლო მარიამისგან რწმენა, მზადყოფნა, თავის მიძღვნა ღმერთისთვის. გენდობი, იესო: მეყავნ მეც შენი სიტყვისამებრ.

26 მარტი

ხუთშაბათი
2026

დაბ 17,3-9; ფს 104; იო 8,51-59

მ. ემანუელ ვარდიძის გახსენება (+1966)

იო 8,59

იესო ლაპარაკობდა ხალხის მთავრებთან, რომლებსაც, მიუხედავად სხვადასხვა არ-გუმენტისა, რომელიც მან წარმოადგინა საკუთარი ღვთაებრივი ბუნების შესახებ, სძულდათ იგი. დაბრმავებულნი საკუთარი სიამაყითა და თვალთმაქცობით, ვერ შეძლეს მიეღოთ მისი მოწმობა, დადასტურებული სნეულთა განკურნების ნიშნებითაც. მაშინ იგი მოშორდა ტაძარს და აღარ შესულა მასში. აწ უკვე იესოა, და მხოლოდ იგი, სიყვარულის ღმერთის ტაძარი.

27 მარტი

პარასკევი
2026

იერ 20,10-13; ფს 17; იო 10,31-42

„ეშმაკი იქმს გვერდით არის,
როგორც ძლიერი ძოწეული“ იერ 20,11

ახლოვდება შენი "ჟამი", იესო! ყველაზე რელიგიური და წერილში გარკვეული ადამიანები არასდროს გიღებდნენ: შენ აუწყებდი მამას, უცნობს მათი ამაყი და ეგოისტური გულისთვის. ახლა დევნა მოვიდა. შენ, იესო, რჩები მამისადმი მინდობილი, სწავლობ იერემიასგან. თაყვანსა გცემ და მეც ვსწავლობ ტანჯვას შენი საქმისთვის.

28 მარტი

შაბათი
2026

ეზეკ 37,21-28; ფს, იერ 31,10-13; იო 11,45-56

გავათავისუფლებ მათ ყველა აბოლოებისგან ეზეკ 37,23

იესო, გიახლოვდება ვნების ჟამი: ჩვენ სიყვარულით ავღნიშნავთ მას მომავალ წმიდა კვირაში. ეზეკიელის ნაწყვეტი გვამზადებს: შენ იტანჯები, რომ მოგვანიჭო სუფთა და ახალი გული, მორჩილი შვილების გული. შევძლებთ მამის ნების შესრულებას და ბოლოს ვიგემებთ სიხარულს. გმადლობთ, იესო!

29 მარტი

კვირა 2026

ბზობის კვირადღე, «ა», [II], წ

[(16.III) წმმ. ღირსნი პიმენ სალოსი და ანტონ მესხი, XIIIს]

მთ 21,1-11; ეს 50,4-7; ფს 21; ფილიპ 2,6-11; ვნება, მთ 26,14-27,66

ეს იესო, წინასწარმეტყველი ნაზარეთიდან მთ 21,11

იესო მოდის იერუსალიმში პასექისთვის, წინ და უკან მრავალი ხალხით. სხვები უერთდებიან საზეიმო მსვლელობას სიმღერით: "კურთხეულ არს, მომავალი სახელითა უფლისათა". იესომ, ვირის ჩოჩორზე ამხედრებულმა, მეფეების დარად, რომლებიც გამარჯვებულნი შედიოდნენ ქალაქში, იცის, რომ არ არის მიწიერი მეფე, არამედ წერილების მეფე-მესია, რომელიც მოდის სიმშვიდით, ძლიერი წინასწარმეტყველი "სიტყვითა და საქმით".

30 მარტი

ორშაბათი
2026

დიდი ორშაბათი [II], ი

ეს 42,1-7; ფს 26; იო 12,1-11

მაგრამ მე ყოველთვის არ გყოლიბით იო 12,8

იუდა, რომელსაც უყვარდა არა იესო, არამედ ფული, ჰკიცხავს მარიამის საქციელს: მან ცხო იესოს ფეხებს ძალიან ძვირფასი სურნელებით. იუდა თითქოს ღარიბებზე ზრუნავს... მაგრამ მხოლოდ მას, ვისაც უყვარს იესო უხილველად, უყვარს ღარიბებიც ჭეშმარიტად, ღვთაებრივად, წმიდად, შედეგიანად!

31 მარტი

სამშაბათი
2026

დიდი სამშაბათი [II], I

ეს 49,1-6; ფს 70; იო 13,21-33.36-38

სადაც მე მივდივარ, თქვენ ვერ მოხვალთ იო 13,33

იესო, იმ სერობაზე ცდილობდი გამოგეცხადებინა შენი მეგობრებისთვის საიდუმლო, მამის ნება: გელოდა სიკვდილი, ჯვარზე სიკვდილი და მარტოობა. მხოლოდ შენ ხარ სიყვარული, რომელიც იხსნის სოფელს! როცა აღდგები და დაჰბერ მათზე სულიწმიდას, ისინიც შეძლებენ სიარულს სრულყოფილი სიყვარულის გზაზე.